ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 233
შაბათი, 30 ოქტომბერი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 233
შაბათი, 30 ოქტომბერი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაგარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ქართველ ქალთა სამკერვალო

1 ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონენ ჭრა კერვის კურსებზედ.

**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის მკერავი ქალი სამკერვალოსათვის.**

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

---

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—19)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევი. ნჩი**—6 საათ.

**ა. ნ. ფჰაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7—7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

---

## ექიმი
## კ. ს. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—64)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—გზიდის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

---

## ახალი ამბავი

*** დღეს, 30 ოქტომბერს, ტფილისიდგან კიევში, სამხედრო გზით, მიბრძანდებიან ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა და ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი მ. ჰერმოგენი, ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტ იოანნიკეს იუბილეიზედ დასასწრებლად, რომელიც გარდახდილ იქნება 7 ნოემბერს.

*** ხვალ, 31 ოქტომბერს, ავჭალის ქუჩაზედ, სახალხო კითხვების შენობაში, სცენის მოყვარეთა მიერ სახალხო წარმოდგენა იქმნება გამართული ქართულს ენაზედ. ითამაშებენ ანტონოვის პიესას: „ქორ-ოღლის".

*** ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორი გენ.-მ. თ. კ. გერშელმანი.

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა წინადადება მისცა წმ. ნინოს დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრს პოლკ. ფონ-პარაკს, გაემგზავრეთ ქ. თელავში და დაწვრილებით გაიცანით თელავის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის მდგომარეობა, მოქმედება და საშვალებანიო.

*** 28 ოქტომბერს ტფილ. გუბერნატორმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის მოურავს: ჩემს ყურამდე მოახწია, რომ ქალაქის საბჭოს-მიერ ცხვრის ხორცზედ ახლად დაწესებული ნიხრი, რომელიც მე უკვე დავამტკიცე, დღემდე ძალაში არ შესულაო. ამის გამო გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს განკარგულება მოახდინეთ, რომ ეს ნიხრი ძალაში იქმნას მოყვანილიო.

*** ტფილისის გუბერნატორმა სთხოვა ზოგიერთ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათ, სუფთად შეინახეთ ქუჩები თქვენის შენობების წინ და მაგალითი უჩვენეთ ამ მხრივ კერძო სახლის პატრონებსაო.

*** ნოემბრის პირველ რიცხვებში მოხდება ტფილისში ამიერ-კავკასიის სახაზინო პალატების მმართველთა კრება კავკასიაში ხარკის აკრეფის წესრიგის შეცვლის გამო.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის განკარგულება დაფასების უწყების ქაღალდებში სიყალბის ჩადენის შესახებ ბრალმდებელს უწესოდ უცვნია და ეს ამბავი ტფილისის საგუბერნიო მთავრობისათვის შეუტყობინებია.

*** 22 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, ქალაქის სადეზინფექციო სადგურის მეეტლე ნ. ბორისოვი კარაპეტოვის ქარხნის მახლობლად ეტლიდგან ჩამოვარდნილა და გრძნობა დაუკარგავს. ცხენი ეტლით და სა-

---

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

კიდევ ინგლის-ტრანსვაალის ომის შესახებ.—ინგლისის ჯარი.—ჯარის-კაცების მოსაწვევი განცხადებანი.—ბურების ჯარი.—პრეზიდენტი კრიუგერი.—„ბიძია პავლე" ახალგაზდობას და ეხლა.

ყოველ დღე დეპეშას სამხრეთ-აფრიკიდგან ახალ ახალი ამბები მოაქვს ინგლისელების დამარცხებისა და ბურების გამარჯვებისა. ბურები რომ კარგი მეომარნი არიან, ეს ყველასათვის აშკარა იყო, მაგრამ იმას-კი არავინ არ მოელოდდა, თუ ისინი ევროპიულად დარაზმულ და კარგად შეიარაღებულ ჯართან ბრძოლაში ამდენ ოსტატობას, მოხერხებულებას და ვაჟკაცობას გამოიჩენდნენ. თვით ინგლისელნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ერთის ხმლის მოქნევით ბოლოს მოვუღებთ. ამ ურჩს ბურებს და სამუდამოდ ხელში ჩავიგდებთ მდიდარს ტრანსვაალსაო. მაგრამ, როგორც ჰხედავთ, იმედი არ გაუმართლდათ. პირ-იქით, ჯერ ჯერობით ბურები აწყევლინებენ თავ-ბედს ინგლისელებს, ხოლო, შემდეგ რა იქმნება, მარტო ალლაჰმა უწყის!

ამ ორის კვირის წინად ინგლისელნი, იმ იმედით აღფრთოვანებულნი, რომ ჩვენს უზარმაზარ სახელმწიფოს ერთ კარგ, მდიდარ კუთხეს კიდევ მივუმატებთ და ამით მტერს თვალებს დავუბრმავებთო, სიხარულით ცას ეწეოდნენ და მომავალ გამარჯვებას ერთმანეთს ულოცავდნენ. გავიდა მხოლოდ ორი კვირა და სიხარულმა თქვენი ჭირი წაიღო. ეხლა ინგლისელნი, დამმარცხებულნი და დაღონებულნი, იმასღა ახერხებენ მხოლოდ, რომ დეპეშებს ამახინჯებენ და ვაჟკაცურად თავიანთ ვარამს და უბედურებას თვითვე გულში იმარხავენ, —დეე, სხვამ მაინც ნუ იცოდეს ეს რა ჭირი და რისხვა დაგვატყდა თავსაო.

დიახ, ინგლისის მთავრობა მაგდენად სისხლის ღვრასა და ჯარის ამოწყვეტას არა სჩივის, რამდენადაც ვაჟკაცის სახელის წახდენას. მთელი საუკუნეა ინგლისს დამარცხება არ გამოუცდია, ას წელიწადზედ მეტია იმის ჯარს ზურგი არავისთვის უჩვენებია და ეხლა ლამის არის ამ პაწაწკინა ტრანსვაალმა თავს-ლაფი დაასხას და საბოლოოდ შეარცხვინოს ნაქები და სახელოვანი გმირი, ის გმირი, რომლის წინაშე თრთოდნენ და კანკალებდნენ დიდნი სახელმწიფონიც-კი. ინგლისის მთავრობა ეხლა კარგადა ჰხედავს, რომ ნახტომი შეეშალა, მაგრამ, როგორც ვუწყით, „წამხდარსა საქმეს რას არგებს, მერმე-და თითზედ კბენანი". ამაზედ არის აი ნათქვამი: რასაც კაცი თვითონ უზამს თავისს თავის, იმას მტერი არასოდეს არ უზამსო.

***

ინგლისი იმითღა იკეთებს გულს, რომ თუ თავი წავაგე, ბოლო ხომ მაინც ჩემიაო, და ყოველ დღე ახალ ახალ ჯარებსა ჰგზავნის სამხრეთ აფრიკაში. რამდენად გამართლდება ეს მოლოდინი, უთუოდ ახლო-მომავალი დაგვანახვებს, ეხლა-კი, მეტი არ იქმნება, თვით ინგლისის ჯარის შესახებ ვისაუბროთ.

ინგლისის ჯარი შესდგება: 1, მილიციისა, 2) თავისუფალ-მეომართა და 3, სამუდამო ჯარისაგან. ახალშენებს: ავსტრალიას, კანადას, კაპლანდს და აგრეთვე ინდოეთს საკუთარი ჯარები ჰყავთ, რომლებსაც თავიანთის ხარჯით ინახავენ. მილიციას მთავრობა მხოლოდ ომის დროს მოიწვევს ხოლმე, ისე-კი მარტო სამუდამო ჯარი ჰყავს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ სამუდამო ჯარის შესავსებად ინგლისში სამხედრო ბეგარა სულ არ არსებობს. ჯარის-კაცად მიჰყავთ მხოლოდ ისინი, ვინც ნება-ყოფლობით სამხედრო სამსახურში შესვლის სურვილს განაცხადებენ. სამხედრო უწყებას განსაკუთრებული მოხელენი ჰყავს, რომელნიც ჯარისათვის კაცებს აგროვებენ.

ჯარის-კაცი ინგლისში მოხელეს უფრო ჰგავს, ვიდრე მეომარს. როგორც მოხელე, ჯარის-კაციც ნება ყოფლობით შედის სამსახურში, მოხელესავით, ჯარის-კაცსაც თვიურად ჯამაგირი ეძლევა, იმასავით სამსახურს გარეშე თავისუფალი და დამოუკიდებელია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ჯარის-კაცმა უნდა უეჭველად დადებული ვადა, სახელდობრ 12 წელიწადი იმსახუროს, მოხელემ-კი არა. ამას გარდა ჯარის-კაცი სხვებთან ერთად „ყაზარმაში" სცხოვრობს სახელმწიფო ხარჯით.

ინგლისური ყაზარმა არაფრით არა ჰგავს ჩვეულებრივ ყაზარმას. იგი სასწავლებელს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე ჯარის სადგომს. შენობა მშვენიერი და კოხტაა. წინ კარგი ბაღი აქვს. ყველა ყაზარმაში შეჰხვდებით რესტორანს, კლუბს (ჯარის-კაცებისას, აფიცრებს საკუთარი კლუბი აქვთ) და ბილიარდს. ზოგგან ჯარის-კაცებს საკუთარი „სალონიც"-კი აქვთ. ჯარის-კაცთა საზოგადო დარბაზები მშვენიერის სურათებით არის მორთული და ავეჯეულობით მოწყობილი. ეს დარბაზები სხვა სახელმწიფოების აფიცერთა საკრებულოებს არ ჩამოუვარდება. საწოლი ოთახებიც სამაგალითოდ არის მოწყობილი. თვითვეულს ოთახში დიდი სასადილო სტოლი სდგას, დილით ჯარის-კაცებს ეძლევათ ყავა და პური კარაქით, შემდეგ საუზმე, შუადღისას სადილი, რომელიც ორის, ხან სამის თავისაგან შესდგება, და საღამოზედ კიდევ ვახშამი. საჭმელს განსაკუთრებულნი მზარეულნი ამზადებენ, რომელთაც ალდერშოტის საკულინარო სასწავლებელი აქვთ დამთავრებული. სარეცხსაც სხვას აძლევენ და არა თვითონ ჯარის-კაცნი რეცხენ, როგორც ევროპის სხვა სახელმწიფოებშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეზინფექციო ყუთით სადგურში მისულა. ბორისოვი ასეთ მდგომარეობაში დარჩენილა მთელს ღამეს და მხოლოდ მეორე დღეს დილით ქუჩის დარაჯს პოლიციაში წაუყვანია, სადაც იგი მთვრალად უცვნიათ და მხოლოდ საღამოს ხანს საავადმყოფოში წაუყვანიათ, მაგრამ იქ იგი არ მიუღიათ და ისევ პოლიციაში დაუბრუნებიათ, სადაც ავადმყოფი კიდევ მთელს ღამეს წოლილა. მისი ვინაობა პოლიციას მხოლოდ 24 ოქტომბერს გამოურკვევია და კიდეც გაუგზავნია შინ. ბორისოვი 25 ოქტომბერს გარდაცვლილა გრძნობაზედ მოუსვლელად და ულუკმა-პუროდ დაუტოვებია 6 მცირეწლოვანი შვილი.

*** როგორც იმის ტფილისას საგუბერნიო მთავრობა შეუდგა იმ ზარალის გამორკვევას, რომელიც გუბერნიის ზოგიერთს ადგილას მიაყენა სეტყვამ.

*** გორიდგან იუწყებიან, რომ 28 ოქტომბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის 220 ვერსზედ დაიმტვრა საქონლის მატარებელი № 107. დაზიანებულა ერთი ვაგონი და გზა 120 საჟენის მანძილზედ. არავინ დაშავებულა.

*** „კავკ.“ აუწყებენ, რომ ამიერ-კავკასიის ზოგიერთ მეამულეთა თაოსნობით, განზრახულია გამოსცენ პარიჟის 1900 წლის გამოფენისათვის ფრანგულ ენაზედ ცნობათა კრებული კავკასიის სხვა-და-სხვა ხალხთა სნობათა დღევანდელ მდგომარეობის შესახებ მათის ეკონომიურის ყოფა-ცხოვრებისა და სამოქალაქო ასპარეზზედ მათის წარმატების გამოსარკვევად. კრებულის შედგენაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორები და მასწავლებლები, რომელნიც ჩვენს ქვეყანას იცნობენ. განზრახვა აქვთ აგრეთვე იმავე გამოფენისათვის შეაგროვონ ნაწერები კავკასიის სხვა-და-სხვა სამრეწველო დარგის შესახებ იმ ადგილების აღნიშვნით, სადაც ესა თუ ის მრეწველობა არსებობს, და აგრეთვე მომზადებულ ნაწარმოებთა ღირსება-რაოდენობის ჩვენებით.

*** რამდენსამე კავკასიელ მეღვინეს, როგორც „კავკ.“ იუწყება, შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ შემუშავებულ და გამოცემულ იქმნას საგანგებო კანონ-მდებლობა, რომელიც უნდა შეეხებოდეს ღვინის თვისებას, და ამ აზრით დაარსებულ იქმნას გასაყიდ ღვინის გამოსაკვლევი სადგური.

*** ოზურგეთის მაზრიდგან „ახ. მ.“-ს სწერენ, რომ 13 ოქტომბერს სოფ. ნაგომარის მახლობლად ნაწილის ბოქაულს ქელბაქიანს მოუკლავს გაპარებული დამნაშავე ივ. კალანდაძე, რომელსაც ჰბრალდებოდა გელენჯიკის ქარხნის აგენტის გაძარცვა და ბევრი სხვა დანაშაული.

*** დ. პატარა ონში (რაჭის მაზრა) იმყოფებოდა ერთი გამოქვაბული, სადაც მცხოვრებნი სთხრიდნენ ერთგვარ ყვითელ მიწას, რომელსაც საპნის თვისება ჰქონდა. 21 ოქტომბერს ამ გამოქვაბულში შესულა მიწის მოსათხრელად ოთხი ყმაწვილი და უეცრად თავზედ ჩამონგრევიათ გამოქვაბული, რომელსაც სამი ყმაწვილი ქვეშ მოუმწყვდევია. სოფლელებს დაუყოვნებლივ ამოუთხრიათ მიწიდგან ყმაწვილები და მხოლოდ ერთი ბავშვი ყოფილა ცოცხალი, ორი დახოცილან; ესენი ყოფილან 16 წლის ქალი და პატარა ონის ორკლასიან სასწავლებლის მოსწავლე არტემ სოხაძე.

*** ღ. გუდაუთი, (აფხაზეთი). გუდაუთში იყრის თავს სოხუმ-ნოვოროსიის შუა გაყვანილ გზატკეცილზე მომუშავე ხალხი, სულ რუსეთის შიდა გუბერნიიდგან დროებით ჩამოსულები. ზაფხულობით ეს მუშები დიდს განსაცდელში სცვივიან ციებ-ცხელების გამო: ციებ-ცხელებიან ჰაერს დაუჩვეველი ხალხი მთელი ზაფხულობით ავადობს აქ. ხშირად როგორც ზაფხულში, ისე ზამთარშიც ბევრს ჩაჰყვება ხოლმე ციება. ამგვარ გაჭირვებულთა რიცხვში ბევრია წვრილი ცოლ-შვილიანი კაცი.

*** ქ. ბათუმი. 25 ოქტომბერს ვიღაც მამედ-ქაირიმ-ოღლიმ შურისძიებისა გამო მოჰკლა ეიუბ მაზრეჯიოღლი გოგიტიძე, რომელიც მეცეილში დასჭრა დანით სასიკვდილოდ. მკვლელი გაიქცა, მაგრამ ამ ჟამად უკვე შეუპყრიათ.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანაშ. აღმასრულებელმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ დაიკეტოს სასტუმროები „ბათუმი“ (ვერის აღმართზედ) და „მოსკოვის ნომრები“ (ოლგას ქუჩაზედ),

*** კავკასიის მთავარმართებელს 100 მან. შეუწირავს ტფილისის მეორე საკაცო გიმნაზიის შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

*** ტფილისში ავადმყოფობა ბავშვებში მრავლდა სხვა-და-სხვა ავადმყოფობა: ხუნაგი, ყვავილი, ყელის ტკივილი, სახადი და სხ.

*** რადგან ოლგას ქუჩის სახლის პატრონებმა იჩივლეს ქალაქის გამგეობაში, ბ-ნის მდივანის აგურის ქარხანა თვისის კვამლით და მტვერტლით შეწუხებას გვაყენებსო, ამის გამო გამგეობამ კომისია დანიშნა ამ საჩივრის გამოსარკვევად.

*** ქალაქის უფროსმა სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ მომავალ კვირას ფული არ გადახდეთ იარმუკაზედ ვაჭრობისათვის იმ ვაჭრებს, რომელთაც გასულ კვირას გარდაიხადეს ფული, მაგრამ იარმუკაზედ აღარ უვაჭრნიათ წვიმის გამო. ეს შუამდგომლობა გამგეობამ შეიწყნარა.

*** შორაპნის სადგურიდგან „ტფ. ფ.“-ს სწერენ: ამ დღეებში მე-4 ნაწილის უფროსის კანტორის გამგემ გ—კომ გაანჩხლების დროს ლუდის ბოთლი ესროლა თავისს ცოლს; ქალი განზედ გახტა და ბოთლი აიცდინა; მაგრამ ბოთლი კედელს მოხვდა და მისმა ნამსხვრევებმა მძიმედ დაამავა თავში გ—კოს ცოლის და, 7 წლის ქალი. მხოლოდ ჟანდარმებისა და მეზობლების დახმარებით საბრალო ქალი ხელიდგან გამოსტაცეს გაავთრებულ ქმარს. ეს საქმე გამომძიებელს გარდაეცა. ბრალდებული გ—კო სადღაც დაიმალა. როგორც ჰფიქრობენ, ის ბაქოში გაპარულა.

## თეატრის მატიანე

ლანდი, დრამ. ხლაპ. 5 მოქმედ. და 6 სურ.. თარგმანი ლაზარაშვილისა.

გუშინ-წინ, ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს, გაიხსენდა ძველი პიესა „ლანდი“, რომელიც პირველად წარმოდგენილი იყო 1893 წლის 27 ოქტომბერს. ეს პიესა, ვგონებთ, მეორედ წარმოადგინეს და ღირსიც იყო იგი საზოგადოების ყურადღებისა, მაგრამ ხალხი ნაკლებად დაესწრო, რაც სანანური უნდა იყოს თეატრში მოსიარულეთათვის. სხვას ამ პიესის შესახებ ამ ჟამად არას ვიტყვით, რადგან მისს შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა თავის დროზედ გამოთქმული ჩვენი აზრი (იხ. „ივერია“ 1893 წლისა № 232).

რაც შეეხება არტისტებს, უმთავრესს როლებს ისევ ისინი თამაშობდნენ, რომელნიც ამ ექვსის წლის წინად გვინახავს. პიესამ, ბ-ნ ვ. აბაშიძისა, კ. ყიფიანისა, კ. მესხისა, ვ. გუნიას და სხ. წყალობით, საუცხოოდ ჩაიარა. მოდებიუტეს ქ-ნს მ. კავთელს სულ ორიოდე სიტყვა ჰქონდა სათქმელი. საკვირველია, რომ აცხადებენ დებიუტი იქნებაო და ეს სადებიუტო როლი-კი სულ ორ ნახევარ სიტყვისაგან შესდგება. ასეთს როლს რაღა ზარი და განგაშის დაკვრა ეჭირვება?!.

ჩვენს თეატრში მოსიარულეთ უნდა შევნიშნოთ, რომ კარგს იზამდნენ, რომ ალაგებს არ იცვლიდნენ ხოლმე და ის ადგილი იკმარონ, რომლის ბილეთიცა აქვთ ნასყიდი. თორემ რასა ჰგავს, რომ პირველს მოქმედებაში მარტო უკანასკნელი რიგებია სკამებისა დაჭერილი და მეორე მოქმედებაში მთელი ეს ხალხი პირველ, მეორე და მესამე რიგის სავარძლებში მოექცევა ხოლმე. დიდად საჭიროა, რომ ამ გარემოებას თეატრის ადმინისტრაციამაც ყურადღება მიაქციოს და ღონე რამ იღონოს ამ არა მოსაწონის საქციელის ასალაგმავად.

მ—ძე

## რითი და როგორ ვუშველოთ ტფილისის რიყეს?

(დასასრული*)

მეორე ამაზედ უფრო გაცილებით დიდი, მაგრამ ტფილისის მომავლის წარმატებისათვის აუცილებელი, არის მდინარე არაგვის მთლად გამოყვანა ეგრედ წოდებულის მახათის მთის უკანა, რომელიც თავზედ დასცქერის არსენალს (თოფხანას). ჩვენ განგებ მოვიარეთ მთელი ის მანძილი, სადაც უნდა გამოიაროს არაგვმა და დავრწმუნდით, რომ ამაზედ ადვილი საქმე სხვა მეორე ამისთანა ჩვენ არსად არ გვეგულება. ან, გვიკვირს, სად იყვნენ ტფილისის განთქმულნი ინჟინერნი და თავნი, როდესაც აუარებელს ფულსა ჰხარჯავდნენ ქალაქისათვის წყლის გამოსაყვანად და მაინც ისეთი წყალი ვერ გამოიყვანეს, რომ ტფილისს ჰყოფნოდა. ჩვენ თუმც ინჟინერი არა ვართ, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ იმაზედ მეტი არც მთელის არაგვის გამოყვანას დასჭირდებოდა, მაგრამ აბა ერთი კარგად დავფიქრდეთ, რა განმასხვავებელი შედეგი მოჰყვებოდა მთელის არაგვის გამოყვანას ჩვენის დიდებულის „მახათის“ უკან. ჯერ ერთი, რომ ტფილისი მიიღებდა უუმშვენიერესს წყალს, რომელსაც ცოტაოდენის დაწმენდის მეტი სხვა არაფერი დასჭირდებოდა, რადგანაც ყველამ ვიცით, რა ანკარაა მისი წყალი; მეორე, ქალაქს წყალი თავზედ საღვარელი ექნებოდა და ყოველ დღე შეეძლო მიეცა ტფილისისათვის არა მხოლოდ 200,000 ვედრო, რომელსაც იძლევა დღევანდელი წყალი ქალაქისა, არამედ თუნდა ათი და ოცი ამდენი; მესამე, არაგვის არხი მახათასთან არ გაჩერდებოდა, იგი გაგრძელდებოდა მარტყოფის ხევამდე (ვაზიანის სადგურის ახლოს), თავში გაუვლიდა ამ ხაზზედ მდებარე სამს მდამე ტბას და საუკუნო სიცოცხლის

*) იხ. „ივერია“ № 231.

ყველა ამას გარდა სამხედრო სამსახურში მყოფთ ჯამაგირიც კარგი აქვთ. უბრალო ჯარის-კაცს, მაგალითად, თვეში 10 მანეთი ეძლევა. 10 წლის სამსახურისათვის კიდევ პენსია ენიშნება. ზოგიერთნი უმწიკვლო სამსახურისათვის ერთ-დროებითად ჯილდოსაც იღებენ. სერჟანტს ჯარის-კაცზედ უფრო მეტი ჯამაგირი აქვს, სახელდობრ, თვეში 120 მანეთამდე.

***

როგორცა ჰხედავთ, ინგლისში ჯარის-კაცის ცხოვრება სამაგალითოდ არის მოწყობილი: მშვენიერი სადგომი, საუცხოვო საჭმელ-სასმელი და კარგი ჯამაგირი. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ინგლისელნი საშინლად გაურბიან ჯარის-კაცობას. ინგლისელი მარტო მაშინ შედის სამხედრო სამსახურში, როდესაც სრულიად გამოელევა უკანასკნელი სახსარი ცხოვრებისა, როდესაც დარწმუნდება, რომ შველა აღარსაიდგან აქვს და მხოლოდ შიმშილით სიკვდილი მოელის. მანამდე-კი გონებაშიაც არ გაიტარებს ჯარის-კაცად შესვლას და თუ ვინმემ ურჩია, სამხედრო სამსახური დაიწყეო, საწყენადაც-კი მიიღებს.

არ გეგონოთ, ინგლისელებს თავიანთი ჯარი არ უყვარდეთ. პირიქით, მგონი, არც ერთს ხალხს ისე არ უყვარს ჯარი, როგორც ინგლისელებს, არც ერთი ერი ისეთის აღტაცებითა და სიხარულით არ ეგებება ჯარის-კაცებს, როგორც ინგლისელნი. სიყვარულით-კი უყვართ, მაგრამ თვითონ ძალიან ეძნელებათ იქ შესვლა და სამსახური.

აი ეხლაც ლონდონის ქუჩებში ერთი ამბავი და აურ-ზაურია. ყოველდღე აუარებელი ხალხი „ვაშას“ ძახილითა და ტაშის ცემით ეგებება სამხრეთ აფრიკაში გასაგზავნ ჯარს; მანიფესტაციებსა ჰმართავს იმის პატივ-საცემად; სიტყვებს ხომ დასასრული არა აქვს. ამავე დროს-კი სამხედრო უწყება სანთლით დაეძებს კაცებს ჯარში ჩასარიცხავად. ბოძებსა, სახლებისა და ეკკლესიების კედლებზედ უზარ-მაზარი განცხადებებია გაკრული, რომლებშიაც ყმაწვილ კაცებს ჯარში იწვევენ. ამასთან ყველა რაზმი ცალკე აცხადებს და იწვევს კაცებს. ვინ მოსთვლის, ამ განცხადებებში რას არა ჰპირდებიან ახლად შესულთ! ერთ რაზმს თავისს ფორმით მოაქვს თავი, მეორე დიდ ჯამაგირსა ჰპირდება ახლად შესულს, მესამე—კარგ პენსიას. ერთის სიტყვით, ყველა თავისს „საქონელს“ აქებს, მაგრამ „მუშტარი“—კი მაინც ნაკლებია.

* * *

სულ სხვასა ვხედავთ ტრანსვაალში, იმ ტრანსვაალში, რომლის გამოც ინგლისმა ასეთი ალიაქოთი და ვაი-უშველებელი ასტეხა. რესპუბლიკის მთავრობა 24 საათი მოუნდა მხოლოდ მეომართა შეიარაღებას და საზღვარზედ გაგზავნას. როდესაც ტრანსვაალმა ინგლისის მთავრობისაგან უკანასკნელის ულტიმატუმის პასუხი მიიღო, კრიუგერმა ორანჟეს რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ოლქის უფროსებს დეპეშით მხოლოდ ერთი სიტყვა გადასცა—„Oorlog“ (ჰოლანდიურად ეს სიტყვა „ომსა“ ჰნიშნავს). მეორე დღეს შეიარაღებულმა და საომრად განმზადებულმა ბურებმა უკვე მოიყარეს თავი დანიშნულ ადგილას. ძალის დატანება და მუქარა არავის დასჭირდა. „ძნელად შეჰხვდება კაცი სხვაგან სადმე ისეთს ერთობასა და ძმობას, როგორიც ტრანსვაალშია,—მოგვითხრობს ერთი კორესპონდენტი.—ბურები ულაპარაკებლივ, უდრტვინველად იკრიბებიან და საომრად ემზადებიან. ყოველ საათს ახალი და ახალი რაზმი შემოდის ქალაქში. აგერ გამოჩნდა, სხვათა შორის, ჭაღარა წვერითა და თმით შემოსილი მოხუცი. მხარზედ თოფ გადაგდებული, მტკიცე ნაბიჯით იგი წინ მოუძღვის თავისს ათ შვილს, რომელთაგან უფროსი ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცია, ხოლო უმცროსი, ჯერეთ სულ ახალგაზდა, თექვსმეტის წლის ჭაბუკი. მოხუცმა თავისი მცირე რაზმი სხვებს მოუყენა გვერდით, შემდეგ ქუდი მოიხადა და ზე აღაპყრა თვალნი, თითქოს ზეცას მესთხოვდა შემწეობასა და მფარველობას ძნელ და ძომავალის ომის დროს“.

შეკრებილი ჯარი მატარებლებში ჩასვეს და საზღვარზედ გაგზავნეს მტერთან საბრძოლველად. არსაიდგან არ გაისმოდა არც ტაშის ცემა და არც „ვაშას“ ძახილი. ცოლებიც ჩუმად ემშვიდობოდნენ ცოლ-შვილს და ჩუმადვე სხდებოდნენ მატარებლებში.

საყურადღებოა აგრეთვე, ის, რომ საომრად იმაზედ მეტი გავიდა, რაც მთავრობამ გაიწვია. კრიუგერსდორპის ოლქიდგან გაწვეული იყო, მაგალითად, 400 კაცი, გამოცხადდა-კი 670 კაცი. მარესბურგიდგან 150 იყო გაწვეული, გავიდა-კი 800 კაცი. ასევე მოხდა სხვა ოლქებშიაც. საერთოდ ამ ომში თითქმის ყველა მამა-კაცი იღებს მონაწილეობას. ამბობენ, რომ პრეზიდენტის ექვსი შვილი და ორმოცი შვილის-შვილი გავიდა ბრძოლის ველზედაო.

***

მაგრამ ინგლის-ტრანსვაალის საქმეში ყველაზედ მეტ ყურადღებას მაინც თვით ეს მოხუცი პრეზიდენტი კრიუგერი იქცევს. იმისმა ჭკუამ და მოხერხებულობამ ყველანი განცვიფრებაში მოიყვანა. ინგლისელნიც-კი აღარა ჰმალვენ და ამბობენ, რომ კრიუგერი უდიდესი პოლიტიკოსი და უჭკვიანესი კაციაო. მეგობრები კრიუგერს კრომველს ადარებენ, ხოლო მტერნი—მაკიაველის. კრიუგერს რომ ევროპაში ეცხოვრა და განათლება მიეღო, უშესანიშნავესი კაცი იქმნებოდა დღეს მთელ დედა-მიწის ზურგზედაო, ამბობს ერთი გაზეთი.

სტეფან-იოჰან-პავლე კრიუგერი ანუ ბიძია პავლე, როგორც შემოკლებით ტრანსვაალში ეძახიან, დაიბადა 1825 წელს კაპის ახალშენში. მომავალი პრეზიდენტი სულ ათის წლისა იყო, როდესაც 6000 ოჯახთან ერთად კაპის ახალშენიდგან ჩრდილოეთით, მივარდნილ და მი-

წყაროდ გახდებოდა დღეს მთელის ამოღენა სივრცის მკვდრათ ქცეულ მინდორ-ველისათვის, რაიცა რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა თვით ქალაქ ტფილისის კეთილ დღეობასა და მის წარმატებაზედაც იქონიებდა გავლენას. არაგვის გამოყვანა უნდა დავიწყოთ ზედ იმის შესართავიდამ; არხი გამოივლის ჯვარის მონასტრის მთის სამხრეთ ძირში და წამოვა ასე მტკვრის მარცხენა კიდით, გამოივლის ორსავე ავჭალის ზემოთ, გადმოვა ტფილისის ჩრდილოდ მდებარე მლაშე ტბების აუზში, გამოუვლის მათ თავში, წამოვა ტფილისის მახლობ 2—3 ვერსის უკან თვით ბუნებისაგან შექმნილ ვრცელის არხის ზემო, ან ქვემო გვერდობით, როგორც უმჯობესად სცნობენ ინჟენრები და წავა აქედამ იმ თვალ-უწვდენელ მინდორ-ველის თავით, რომელიც სძევს ავლაბრის აღმოსავლით. ქალაქის რიყის ხსნა ჩვენ იმიტომ დავუკავშირეთ ამ არხს, რომ რადგანაც ეს არხი გამოივლის იმ სამის ტბის აუზში, რომლებიც ტფილისს უძევს ჩრდილოდ და აღმოსავლით და წარმოადგენს უშველებელს ორმოებს, რომლითაც შეუძლიანთ დაიტიონ თავისს მთებს შორის წარმოუდგენელი რაოდენობა ნიაღვარების წყლისა, არაგვის არხით მთელი ეს მეტი წყალი, ძველ ეგვიპტელების მსგავსად, შეიძლება სულ ამ ტბების აუზებში მივმართოთ და ამით თავიდგან ავაცილოთ ტფილისს საკმაო რაოდენობა ნიაღვრების წყლისა, ხოლო ამ ტბებიდგან ცხელს ზაფხულში რუებით მოვრწყათ ის თვალ უწვდენელი მინდორ-ველები, რომლებზედაც ზევით მოგახსენეთ.

თუ ოდესმე განხორციელდა ჩვენი პროექტი, რაშიაც ეჭვი არა გვაქვს, რადგანაც არავითარს ტეხნიკურს სიძნელეს იგი აქ წარმოადგენს და სარგებლობით-კი ნამდვილ სახელმწიფო მნიშვნელობიან საქმედ მიგვაჩნია, ე. ი. აუცილებლად საჭიროა, არა მხოლოდ მარტო ტფილისის მომავლის წარმატების საშუალებად, არამედ თვით ამოღენა სივრცის (100 კვადრატული ვერსის) დასახლება-გამოცოცხლებისათვისაც.

ამ რამდენისამე დღის წინად გაზეთები იწერებოდნენ, რომ „როგორც ისმის, კავკასიის უმაღლესის მთავრობის განკარგულებით წინადადება მიეცა ყველა იმას, ვინც ნებართვა მიიღო დაესახლოს ახლად დაარსებულ სოფ. ორხევში, რომ თუ ისინი ერთის წლის განმავლობაში გამოცხადების დღიდგან საბოლოოდ და მკვიდრად არ დასახლდებიან დათმობილ ადგილებზედ და პირდაპირ მიწის მუშაობას არ შეუდგებიან, ეს ადგილები ჩამოერთმევათო“. ეს ორხევი ძევს ტფილის-ვაზიანის გზაზედ და წარმოადგენს სრულიად უწყლო ადგილს. თქმა არ უნდა, ეს უწყლობაა უმთავრესი მიზეზი, რომ ხალხს აქამომდე ვერ გაუბედნია დაბინავდეს დათმობილ ადგილებზედ და მეურნეობას მიჰყოს ხელი, თორემ ღვთის წყალობა გაქვთ, სულ სხვას ვნახავდით, ზემოდ მოხსენებული არხი რომ უკვე გამოყვანილი ყოფილიყო, რადგან იგი სხვა მრავალ ადგილთა შორის ორხევსა და მის მინდვრებსაც უხვად მორწყავდა. ერთი სიტყვით, რაც ბევრი გავაგრძელოდ, არაგვის გამოყვანა ჩვენ მიერ აღნიშნულ მიმართულებით ყოვლად შესაძლებელი და აუცილებლად საჭირო საქმეა და იმედია, ჩვენი ტფილისის ფულიანი კაცები და ინჟინერები „ხმად მღალადებლად უდაბნოსა შინა“ არ დასტოვებენ ამ საგანს და ახლო მომავალში კიდეც შეუდგებიან მის გამოკვლევასა და შემდეგ განხორციელებასაც, მაგრამ რადგანაც ეს ისეთი საქმეა, რომელიც ტფილისის ყოველის მცხოვრების ინტერესს შეეხება, ამიტომ, ჩვენის აზრით, ამ საქმის განსახორციელებლად და საწარმოებლად უნდა ისეთი სააქციო საზოგადოება შესდგეს და ისეთის პატარა აქციით (მაგ. 25 მან.), რომ უმეტესს ნაწილს ხალხისას შეეძლოს დაახლოვებითი მონაწილეობა მიიღოს ამ ნამდვილს სატფილისო და საქვეყნო საქმეში. ვთხოვ ტფილისის რუსულის გაზეთების რედაქციებს შინაარსი ამ წერილისა თავისს მკითხველებსაც გაუზიარონ.

ივანე პ. როსტომაშვილი

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** უკანასკნელს დღეებში ინგლისიდგან მოსული დეპეშები სულ იმას იუწყებიან, რომ ჩვენი ჯარები იმარჯვებენ ცხადაო, მაგრამ ეს არავის სჯერა. პირ იქით, გაზეთები იმის კვლევაში არიან, გენერალი უაიტი მოახერხებს ლედი-სმიტის გამაგრებას, სანამ ახალი ჯარები მიეშველებოდეს, თუ ვერა. დასახლობითი ანგარიშით, იქ 10 ათასი ჯარის-კაცისა და 26 ზარბაზნის მეტი აღარ არის ეხლა; გარდა ამისა 3 ათას კაცამდე რკინის გზაზედ არის გაშწკრივებული ლედი-სმიტსა და დურბანს შუა. ბურებმა თუ ეს გზა დაიჭირეს და დაანგრიეს, უაიტი მართლაც რომ დიდს გასაჭირში ჩავარდება. საქმე ის არის, რომ ჯარი უნდა მივიდეს ლედი-სმიტში დურბანიდგან და პიტერმარიცბურგიდგან, საიდგანაც ლედი-სმიტამდე 145 კილომეტრია. თუ აქ რკინის გზა გაფუჭდა, ჯარები და სამხედრო მასალა საქარავნო გზით უნდა გაიგზავნოს, რაც ადვილი საქმე როდია. ამასთანავე რა დანიშნულებას მისცემენ იმ ჯარს, რომელიც ეხლა გზაშია, ჯერ არავინ იცის; ყველაფერი იმაზედ არის დამოკიდებული, ამ დღეებში როგორ შეიცვლება საქმის მდგომარეობა ნატალში. როგორც ჩვენც გვქონდა მოხსენებული ამას წინად, გენერალი ბულლერი, ინგლისის ჯარების მთავარ-სარდალი, იმ აზრის ადგა პირველად, რომ თავისი კორპუსი ნატალში კი არ მიეყვანა იქაურის ჯარის საშველად, არამედ სამს რაზმად უნდა გაეყო და რკინის გზით ორანჟეს რესპუბლიკის საზღვრებისაგან წაეყვანა. მთავარი მტაბი მხედრობისა უნდა ყოფილიყო კაპშტადტში. ასეთი გეგმა ბულლერისა იმ მოსაზრებამ გამოიწვია, რომ ბურების მხედრობას გვერდი აუარონ, ჩრდილოეთის მხრით მოექცნენ და იძულებულ ჰყონ ისინი ნატალიდგან უკან დაბრუნდნენ. პირველი დივიზია ამ ჯარისა, რომლის უფროსად დანიშნულია გენერალ-ლეიტენანტი ლორდი მეტუენი, 1 ნოემბრამდე უნდა მივიდეს კაპშტადტში; მეორე დივიზიას, გენერალ-ლეიტენანტის კლერის უფროსობით, მიელიან პორტ-ელიზაბეტში 30 ოქტომბრიდგან 2 ნოემბრამდე; მესამე დივიზიას, რომლის უფროსადაც დანიშნულია გენერალ-ლეიტენანტი გატაკრა, 29 ოქტომბრიდგან 17 ნოემბრამდე მიელიან ლონდონში. გაზეთ „ტაიმს“-ის სიტყვით, ლონდონში აჩქარდ აქვთ კიდევ გაგზავნონ სამხრეთ აფრიკაში დამატებითი დივიზია, რომელიც 9—10 ათასი კაცისაგან უნდა შესდგებოდეს.

— გაზეთებში გამოქვეყნებულია მიღებულ ცნობების თანახმად, ინგლისის რამდენი აფიცერი და სალდათი დაიხოცა, დაიჭრა და დაიკარგა ომის დაწყებიდგან 20 ოქტომბრამდე. მთელი დანაკლისი უდრის 916 კაცს (133 აფიცერი და 783 სალდათი). ამ რიცხვში არ შედის ის 2000 კაცი, რომელნიც ტყვედ წაიყვანეს ბურებმა ლედი-სმიტიდგან.

**ავსტრია.** ამ დღეებში ვენაში ხმა გავრცელდა, რომ პარლამენტი უნდა იქმნას დათხოვნილი და ახალი არჩევნები უნდა დაინიშნოსო. თუმცა ეს ხმა გაავრცელა კათოლიკეთა დასმა, რომელიც მთავრობასთან დაახლოვებულია და, მაშასადამე, ამ უკანასკნელის მეხედულება საქმეზედ იმისთვის უცნობი არ არის, მაგრამ გაზეთებს მაინც არ სჯერათ, რომ ეს ხმა გამართლდეს, რადგან ახალ არჩევნების დროს უფრო მეტი განხეთქილება ჩამოვარდება სხვადასხვა დასებს შორის, რომელიც ეხლაც სულს უხუთავს ავსტრიის შინაურს ცხოვრებას. უფრო სარწმუნოდ ის მიაჩნიათ, რომ, როცა მთავრობა ჩეხებს და ნემეცებს როგორმე მოარიგებს ერთმანეთთან, მაშინვე პარლამენტის კრებებს შესწყვეტსო. ასეთს მოსაზრებას იმაზედ ამყარებენ, რომ მთავრობამ დააჩქარა დელეგაციების არჩევა და რამდენიმეჯერ განაცხადა, რომ ახალი კანონი ენების შესახებ, რომელსაც შეუძლიან ამდენი ხნის უთანხმოება ჩეხებსა და ნემეცებს შორის სამუდამოდ მოსპოს, ჩქარა იქმნება შემუშავებულიო. თუმცა ეს-კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩეხებმა ეჭვის თვალით შეჰხედეს ამ განცხადებას. აი, მაგალითად, რას ამბობს ჩეხური გაზეთი „N’or. L.“: „საბრალოს, საქმის ვითარების უცოდინარს კაცს და იმისავე მსგავსს მისს ამხანაგებს მინდობილი აქვთ გარდასაწყვეტად ისეთი საგანი, რომელზედაც მთელი თოთხმეტი წლის განმავლობაში თავებს იმტვრევენ ავსტრიის საუკეთესო სახელმწიფო მოღვაწენი, და იმტვრევენ იმიტომ კი არა, რომ იმის გარდაწყვეტა ასე ძნელი იყოს, არამედ იმიტომ, რომ ჯერ არავინ გამოჩნდა ისეთი, რომელსაც მოეხერხებინა ამ სახელმწიფოში ენებისათვის თავისუფლების მინიჭება და ამასთანავე ნემეცებისათვის უვლდგან ბატონობის დათმობაო“.

კიდევ ერთი ხმა ტრიალებს ავსტრიაში, სახელდობრ ისა, რომ სამინისტროში დიდი ცვლილება მოხდებაო: კაბინეტიდგან, რომელიც მოხელეებისაგან შესდგება, რამდენიმე მინისტრი უნდა გამოვიდეს და მათი ადგილი უნდა დაუთმოთ ცნობილს პოლიტიკურ მოღვაწეებსო. როგორც ამბობენ, ეს ცვლილება უნდა მოხდეს იმ დროს, როცა პალატა შეუდგება ენების შესახებ კანონ-პროექტის განხილვასო.

**საფრანგეთი** გაზ. „Patrie“-ს სიტყვით, პოლკოვნიკს ჟუოსა და მაიორს დე-ბრეონს ერთობ გაუჩნიან თურმე აფიცრები და სცდილობენ არავითარი კავშირი არ იქონიონ მათთან, რადგანაც ეჭვი აქვთ, რომ დრეიფუსის სასარგებლოდ იმათ მისცეს ხმაო. გენერალ ჟილინისათვის აფიცრებს გამოსათხოვარი სადილი გაუმართავთ, ჟუო მისულა გენერალთან და ხელის ჩამორთმევა სდომებია, მაგრამ გენერალს ზურგი შეუქცევია მისთვის.

## დამჯერდა

უღვლი ცოლიანი კაცი, თუნდა კარგი ცოლიც ჰყავდეს, უშვილოდ სუდდება.

ა. სუვორინი

* * *

ყრუებულ ადგილებისკენ გაემართა ახალის სამშობლოს საძებნელად. ეს გადასახლება ინგლისელების სასტიკმა და აუტანელმა მოპყრობამ გამოიწვია. ბურებმა მივარდნილ, ველურებითა და ნადირებით დასახლებულ ადგილში გადასახლება არჩიეს ინგლისის უსამართლო ბატონობას. თოთხმეტის წლის კრიუგერი სხვებთან ერთად უკვე მხურვალე მონაწილეობას იღებდა ველურ ხალხსა და სასტიკ ბუნებასთან ბრძოლაში. მალე თავისს ვაჟკაცობითა და ოსტატობით ისე ისახელა თავი, რომ ბურებს შორის თითით საჩვენებელ გმირად შეიქმნა.

ახალგაზრდობაში კრიუგერი საოცარი მარდი, ღონის პატრონი და ვაჟკაცი ყოფილა. ერთხელ ტყეში, მიყრუებულ ადგილას ოცი ველური დასცემია თავს. კრიუგერს შვიდი კაცი მოუკლავს და დანარჩენნი უკუუქცევია. ომში ყოველთვის პირველი მეომარი და მებრძოლი ყოფილა. ერთ დროს ბურებმა თავიანთ ჯარის მთავარ-სარდლადაც-კი აარჩიეს. იმისი ვაჟკაცობა 1880 წლის ომის დროს საარაკო ამბად გადაიქცა.

მოხუცებულნი არა ერთს და ორს საკვირველ ამბავს იუწყებიან კრიუგერის ცხოვრებიდგან. ერთხელ ნადირობის დროს, მოულოდნელად ტყეში შეხვედრია ძალზედ გამგელებულ და გაცოფებულ გარეულს კამეჩს. გაქცევა რომ ვეღარ მოუხერხია, წაუვლია კრიუგერს კამეჩისთვის რქებში ხელი, ხანგრძლივის ბრძოლის შემდეგ იქვე წყალში ჩაუთრევია და შიგ ჩაუხრჩვია. მეორედ მარტოდ-მარტო შეჰბმია ლომს, მაგრამ აქაც გამარჯვებული გამოსულა. ლომესთან ერთად სირბილიც გასაოცარი იცოდა თურმე კრიუგერმა. არა ერთხელ და ორჯელ გაუსწრია თურმე ფეხით გაჭენებულ ცხენისათვის.

მოხუცებულების სიტყვით, კრიუგერი ტკივილსა და ჭრილობას არასოდეს არ ეპუებოდა თურმე. ერთხელ თითი დაჰსიებია. როდესაც წამლობით ვერაფერი გაუწყვია, აუღია და დანით ნახევარი თითი მოუჭრია. მეორედ კბილი ასტკივნია. მეგობრებს ურჩევნიათ, ექიმი მოაყვანინეო, მაგრამ კრიუგერს ექიმისთვის არ დაუცდია და დანითვე ძირიანად ამოუგდია კბილი.

* * *

პრეზიდენტს ტრანსვაალში ხუთის წლით ირჩევენ. კრიუგერი პირველად 1880 წელს აარჩიეს. მას აქეთ ბიძია პავლეს მოცილე არავინ გამოსჩენია. აწინდელ პრეზიდენტს მთელს ტრანსვაალში დიდი სახელი და პატივის ცემა აქვს დამსახურებული. არც ერთი ბური არ გადაუხვევს იმის სიტყვასა და ბრძანებას.

კრიუგერი დიდად მორწმუნე და ღვთის მავედრებელი კაცია; ულოცველად არც ერთ საქმეს არ დაიწყობს. ცხოვრებითაც პრეზიდენტი სულ უბრალოდა სცხოვრობს. სახლში ყოველ-გვარ საქმეს თვითონვე აკეთებს. იმისი ცოლი ხშირად პურსაც-კი აცხობს.

ბევრი ლაპარაკი ბიძია პავლეს ჭირივით ეჯავრება. რამდენი კორესპონდენტი მისულა იმ აზრით, რომ გამოეკითხნა და გაეგო იმისი წარსული ცხოვრება, მაგრამ კრიუგერს ხმაც არ ამოუღია. მხოლოდ ერთ ამერიკელ ჟურნალისტისთვის უამბნია ცოტა რამ 1896 წელს, ისიც სტატს-სეკრეტარის ლეიდსის შუამდგომლობითა და თხოვნით.

— უცნაური ხალხი ხართ, ჟურნალისტები!—შესჩივლა თურმე ამ ამერიკელს კრიუგერმა.—ერთხელ ჩემთან ერთი ჟურნალისტი იყო. მეორე დღესვე ამ ვაჟბატონმა გაზეთებში დაჰბეჭდა, რომ კრიუგერს დახეული და დაკონკებული პიჯაკი აცვიაო. ასეთი ტყუილები ძალიან გიყვართ ჟურნალისტებს.

პრეზიდენტის სახლში ყველას თავისუფლად და დაუკითხავად შეუძლიან შესვლა. სახლის წინ მხოლოდ ერთი დარაჯი, მაგრამ იმასაც უმეტეს ნაწილად იქვე მიწაზედ არხეინად სძინავს ხოლმე.

კრიუგერს არ უყვარს ბალები, საღამოები და ცეკვა-თამაში. ლონდონში ყოფნის დროს (ლონდონში ორჯელ იყო ტრანსვაალის საქმეებისა გამო) დიდ ოჯახებში იწვევდნენ საღამოებსა და ბალებზედ, მაგრამ კრიუგერი მუდამ უარზედ იდგა.

ერთხელ ლონდონში კრიუგერს ერთი ჰერცოგი გააცნეს. ბიძია პავლემ ზედაც არ შეჰხედა ამ ჰერცოგს.

— აუხსენით პრეზიდენტს (კრიუგერმა ინგლისური არ იცის), რომ ჰერცოგი და პარლამენტის წევრი ვარ,—უთხრა ჰერცოგმა თარჯიმანს.

კრიუგერმა მხოლოდ თავი გაიქნია, როდესაც აუხსნეს, ვინცა ბრძანდებოდა ჰერცოგი. ჰერცოგს უეჭველად უნდოდა გაეკვირვებინა სტუმარი თავისს დიდკაცობით, და ხელ-ახლა სთხოვა თარჯიმანს, გადაეცით, რომ ვიცე-კოროლად ვიყავიო.

— ჰოო!—წამოიძახა თურმე კრიუგერმა, როდესაც გადაუთარგმნეს:—გადაეცით ვიცე-კოროლს, რომ მე კიდევ მწყემსად ვიყავი.

კრიუგერი სრულიად უსწავლელი კაცია და წერა-კითხვასაც ძლივს ახერხებს თურმე; მაგრამ დაკვირვებამ და ხანგრძლივმა გამოცდილებამ ადრე ასწავლა ჭკუა და გააგებინა ავი და კარგი.

აი ასეთ პრეზიდენტსა და ხალხთანა აქვს ამ ჟამად საქმე ინგლისს. მოხუცი კრიუგერი თავისის გულადის ხალხით იყო დაიმედებული, რომ ისე შეუპოვრად დაუხვდა ძლიერს მოწინააღმდეგეს და იმასთან ბრძოლას არ შეუშინდა. ჭკვიანს და გამოცდილს კრიუგერს სრული იმედი აქვს, რომ ისეთი ხალხი, როგორიც ბურები არიან, თუ საბოლოოდ ვერ დაამარცხებენ, ღირსეულ პასუხს მაინც გასცემენ ამაყ და თავ-გასულ ინგლისს. თავისს მხრივ ბურები, ბიძია პავლეს გამოცდილებით და შორს-გამჭვრეტელობით გამხნევებულნი, სიკვდილს არ ერიდებიან და მტერს ლომებურ ებრძვიან.

ი. ა—ძე

თუ გინდა გაიმარჯვო, ჯერ მხედრობა და მოსაგრეობა ისწავლე.

კვიროსი

* * *

დეე უვლაფერი წაგართვან, თუნდა თვით სიცოცხლეც, მაგრამ შენს ჭკუას-კი ნურავის დაუმონავებ.

ბ. ღ—შვილი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ფრანგებს ერთ გვარი ხმალი მოუგონიათ, რომელიც ერთსა და იმავე დროს ხმალიც არის და თოფიც. ხმალი ისეა მოწყობილი, რომ იმის ტარიდგან ტყვიის გასროლაც შეიძლება თურმე. ფრანგებს არც ნემეცები ჩამოუვარდებიან სამხედრო იარაღის გამოგონებაში. ნემეცებს იმედი აქვთ თვით მოძრავი და თვით-მსროლელი ზარბაზანი გამოიგონონ. კარგა ხანია თურმე, რაც ნემეცები ასეთ ზარბაზნის გამოგონებას შეუდგნენ და ეხლა იმედი აქვთ თავიანთი ცდა დააგვირგვინონ კიდეც.

* * *

შესანიშნავი რამე გამოუგონია ვინმე დესკიურსაც. ამ კაცს აღმოუჩენია, რომ საუკეთესო წამალი იჭვიანობის წინააღმდეგ—ხორცეულის აღკვეთაა. იგი ურჩევს იმ ქალებს, რომელთაც ეჭვიანი ქმრები ჰყავთ, თავიანთ ოჯახში სრულიად აღკვეთონ ხორცეულის ხმარება, ერთის სიტყვით, ვეგეტრიანორს მიჰყონ ხელი. საჭიროა, ჩვენმა ქალებმაც მხედველობაში იქონიონ ეს და გაჭირვების დროს მიჰმართონ ამ მეტად იაფ წამალს.

* * *

ამერიკელი გენერალი უაიხოლსი მასხარა და ოხუნჯი კაცი ყოფილა თურმე. ომში ეს გენერალი სამს ადგილას დასჭრეს: ხელსა, ფეხსა და თვალში. ექიმებმა ვერაფერი უშველეს და ბოლოს დაჭრილი ხელი და ფეხი მოსჭრეს და თვალი კიდევ სრულიად ამოაცალეს. ამათ ნაცვლად გენერალმა ხელოვნური თვალი ჩაისვა და ხელოვნური ფეხი და ხელი გაიკეთა. ერთხელ გენერალი ქ. მაბოლის ერთ სასტუმროში ჩამოხტა. დაწოლის დროს გენერალმა მიჰმართა მოსამსახურე ზანგს, პატარა ბიჭს, და უთხრა:

— აბა, სამ, ფეხი მომაცალე.

გაკვირვებულმა სამმა პირი დააღო და თვალები დააჭყიტა.

— როგორ, განა არ იცი, როგორ უნდა ფეხის მოცლა? აბა მიყურე.

ამ სიტყვებთან ერთად გენერალმა მოიხსნა ხის ფეხი და ტახტზედ დასდო.

— აჰა ეს ხელი მაინც მომაშორე—უთხრა ხელ-ახლა გენერალმა.

— ხელის მოშორება როგორ იქნება, ბატონო! დანით ხომ ვერ მოგჭრით და?

— ეე, ვერაფერი ლაქია ჰყოფილხარ.

გენერალმა ხელიც მოიხსნა და ფეხს გვერდით მოუდო.

— აი, ასე! ეხლა თვალსაც ამოვიძრობ.

გენერალმა უაიხოლსმა თვალიც ამოიძრო. ძალზედ აკანკალებულმა და შეშინებულმა ზანგმა აღარ იცოდა რა ექმნა.

— სამ, ჰოდი თავი მაინც მომაშორე?

— თავიცა?... ერთი კი წამოიძახა განცვიფრებულმა სამმა, ტყვია-ნაკრავივით გარეთ გავარდა და დაიძახა: არიქა, მიშველეთ ეშმაკი შემოსულაო.

* * *

ამას წინად შიგ შუა ზღვაში „იულიანის“ გემზედ შემდეგი დრამა მოხდა. შტურმანმა მოჰკლა გემის კაპიტანი, იმისი ცოლი, თანაშემწე კაპიტანისა და თვით ძიითვისა კაპიტნობა. ტენერიფში ერთი მატროსი გაიქცა გემიდგან და ყოველივე ესპანიის ელჩს შეატყობინა (გემი ესპანიისა იყო). ელჩის ბრძანებით ესპანიის სამხედრო გემი გაემართა შტურმანის შესაპყრობლად. მაგრამ ამ გემს „იულიანიდგან“ თოფები დაუშინეს. ბოლოს, როგორც იყო, სამხედრო გემის ზღვაოსანნი აცვივდნენ „იულიანზედ“, მაგრამ ამ დროს შტურმანმა რევოლვერი დაიცა და თავი მოიკლა.

## უკვდავთა ლაღადებანი

გ. წმ. მირიან მეფის ლოცვა.

უფალო იესო ქრისტე, რომელი გვრწამ ტყვისა ამის ნინოს მიერ და გვასწავეს მღდელთა ამათ შენთა, შენ იესო ქრისტე, რომელმან თავი თჳსი დაიმდაბლე და ხატი მონებისაჲ შთაიცვ სიმდაბლითა შენითა, რომელი გარდამოჰხედ კურთხეულთაგან წიაღთა მამისათა, რომელმან დაუტევებ ჩვენთვის საყდარნი, უფლებანი და მაღნი, და დაემკვიდრე საშოსა წმიდისა ქალწულისასა, და მერმე ჯვარსეცვ ზონტოველისა პილატესზე, დაეფალ გულსა ქვეყანისასა, და მესამესა დღესა ასდეგ, და აღასრულე ყოველივე თქმული წინასწარმეტყველთაჲ, აღჰმაღლდი ზეცად და დაჯედ მარჯვენით მამისა, და მერმე მოსლვად ხარ განშჯად ცხოველთა და მკვდართა, და დაგვიცვავ ჩვენ ნიში ჯვრისა შენისაჲ დასარღვეველად უხილავთა მანქანებათა მტერისათა, ხოლო ჩვენ მოშიშთა შენთა მოგვიღებიეს სასწაულად, რათა განვერნეთ შარსა ეშმაკისასა, რომლისაგანაცა წარწყვეწულ გვყვენით. ხოლო აწ შენ, უფალო ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო, ინებე გამოცხადებაჲ ადგილისაჲ, რომელსა აღჰმართოთ ნიში ჯვრისა შენისაჲ, რათა იხილონ მოძულეთა ჩვენთა და ჰრცხვენოდის, რამეთუ შენ, უფალი, შემეწიე ჩვენ და ნუგეშინის-მეც ჩვენ.

მირიან მეფე იყო თანამედროვე და თანამოღვაწე წმ. ნინოსი. ახალი სჯული—ქრისტეანობა ირწმუნა მის შემდეგ, როდესაც თავის მამა-პაპათა წიგნში ნახა ძველი გადმოცემა მაცხოვრის დაბადებისა და განკაცების შესახებ. წმ. მირიანმა თავის მეუღლის ნეტარის ნანას დახმარებით ააგო რამდენიმე ტაძარი (ორი მცხეთაში, ერთი ბოდბეში წმ. ნინოს საფლავზედ და სხ.) და დანიშნა ეპისკოპოსები და მთავარ-ეპისკოპოსი. ამ წმიდა მეფემ საუკუნოდ მიიძინა 342 წელს და მიძინების წინად თავის შვილს ბაკურს დაავალა მთელს კავკასიაში აღმოეფხვრა კერპთაყვანისმცემლობა.

## ხალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო „მესამე ოქრო,“—რუსულიდგან გადმოკეთებული და გამოცემული მღვ. ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ. წიგნაკი 16 გვერდს შეიცავს და ღირს ერთ შაურად.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებითურთ 27 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზედ, პოტსდამიდგან სკვერნევიცში წაბრძანდნენ.

**კოლესბერგი.** 25 ოქტომბერი. იუწყებიან, რომ 3,000 ბური, ძლიერის საარტილერიო რაზმით, პრეტორიიდგან გავიდნენ სამხრეთ საზღვრის დასაცველადაო.

**ესტკორტი.** 25 ოქტ. ნატალის არტილერიამ, აგრეთვე ცხენოსანმა კარაბინერებმა ბანაკს თავი მიანებეს. არავინ იცის, სად წავიდნენ. დილით კოლენზოს მხრიდგან ზარბაზნის სროლის ხმა მოისმოდა. უთუოდ მოწინააღმდეგემ ხელ-ახლა დაუშინა ყუმბარები ლედი-სმიტს.

**ბერლინი** პარიჟიდგან „Local Anz.“-ს დეპეშით ატყობინებენ: „ლუკა მეიერი მდინარე მოის გადავიდა და კოლენზოსთან მივიდა. აქედგან მეიერი პიტერმარიცბურგს ემუქრება“.

**პარიჟი.** დეპუტატმა კოლემ უარი განაცხადა, პალატაში აღარ შევიტან წინადადებას იმ დამნაშავეთა ამნისტიის შესახებ, რომელთაც კავშირი აქვთ დრეიფუსის საქმესთანაო, რადგანაც მთავრობამ გადასწყვიტა გააუქმოს ზოლას პროცესი და პასუხის გებაში მისცეს მერსიე.

**ბერლინი.** ახალს სასახლეში შინაური საუზმე იქმნა გამართული, რომელსაც დაესწრნენ რუსეთის იმპერატორი და იმპერატრიცა. სადამოთი სადილი იქმნება გამართული.

**დურბანი.** შეუდგნენ პიტემარიცბურგის გამაგრებას.

**ვილდპარკი.** 27 ოქტ. რუსეთის იმპერატორი და იმპერატრიცა. გერმანიის იმპერატორისა და იმპერატრიცასთან ერთად სან-სუსში სასეირნოდ ბრძანდებოდნენ. რუსების ახალშენში ყველა სახლი ბაირაღებით იყო მორთული. დაათვალიერეს სან-სუსის სასახლე. დიდნი მთავრინანიც სასეირნოდ ბრძანდებოდნენ. 7 საათზედ რუსეთის იმპერატორის და იმპერატრიცას პატივსაცემად სადილი იქმნა გამართული.

**ესტკორტი.** 25 ოქტომბერი. აქ მოვიდა ლედი-სმიტიდგან სასტუმროს პატრონი, რომელიც ამბობს, რომ ბურები ყუმბარებს უშენენ ქალაქსაო. როგორცა სჩანს, ინგლისელნი ვერ გაუმაგრდებიან ბურებსაო.

**ორანჟ-რივერი.** 25 ოქტ. ის ჯარი, რომელიც კიმბერლეის არტყია, 2000 კაცით გაძლიერებულ იქმნა, ასე რომ ეხლა ბურებს იქ სულ 6,000 კაცი ჰყავთ. ბურებმა გაძარცვეს ფერმები და წაართვეს კიმბერლეის ვაჭრებს სურსათი, რათა ვაჭრებს სურსათი ქალაქში არ შეეტანათ.

**ლონდონი.** „Times“-ში დაბეჭდილია პიტერმარიცბურგიდგან 25 ოქტომბერს გამოგზავნილი დეპეშა: „ლედი-სმიტთან ხუთშაბათსა და პარასკევს მომხდარ ბრძოლის შესახებ გამოგზავნილ კაცების მიერ აქ მოტანილი ამბავი და აგრეთვე ოფიციალური ანგარიში იუწყება, რომ ინგლისელებს ლედი სმიტთან სრულიადაც არ გაუმარჯვნიათ ისე ძლიერ, როგორც წინად აცხადებდნენ. „Times“-ის კორესპონდენტი 25 ოქტომბერს დე-ლარსა, როსმიდსა და ოსტრომბერგს ყოფილა. იუწყება, რომ ამ ადგილებში ბურები სრულიად არ არიანო.

ნაუპორტიდგან იუწყებიან, რომ ბურებმა დააქციეს ბანზილთან რკინის გზის ხიდიო. ნაუპორტში სრული მშვიდობიანობაა. ამბობენ, რომ თუ კაპის ახალშენის ბურებმა მხარი არ დაუჭირეს ორანჟეს ბურებს, ეს უკანასკნელნი მხოლოდ თავიანთ მიწა-წყლის დაცვას მოინდომებენ დროსაო.

**ბერლინი.** „Deutsche Fagerz.“-ში დაბეჭდილია ამსტერდამიდგან მიღებული შემდეგი დეპეშა: ხმა დადის, რომ ლედი-სმიტის მცხოვრენი ქალაქიდგან გამოვიდნენ ბურების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ძლეულ იქმნენ. 2,000 კაცი ბურებმა ტყვედ წაიყვანესო.

29 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებითურთ სკვერნევიცს მობრძანდნენ 28 ოქტომბერს.

**ბერლინი.** დილის გაზეთები იუწყებიან პარიჟით მიღებულს ცნობებს, რომ გენერალმა უაიტმა დახარჯა რაც ტყვია-წამალი ჰქონდა და ამის გამო იძულებული იყო მტერს დამორჩილებოდა. იოგანნესბურგიდგანა და პრეტორიიდგან მოტანილ ზარბაზნების წყალობით ბურებმა შესძლეს ისე ახლო მისვლა ლედი-სმიტთან, რომ უაიტი იძულებული შეიქმნა წინ წაეწია მეხუთე რაზმი ლუკა მეიერის წინააღმდეგ. ეს რაზმი დიდად დაზარალდა და გადევნილ იქმნა ისევ ლედი-სმიტში.

**ლონდონი.** ლორდ-მერთან გამართულს ნადიმზედ მარკიზმა სალისბერიმ სიტყვა წარმოსთქვა და მოიხსენია, რომ გერმანიასთან მორიგება სამოას კუნძულების შესახებ ორისავე სახელმწიფოსათვის ერთ გვარად სასარგებლოაო. გერმანიასთან ისეთი დამოკიდებულება გვაქვს, როგორიცა-კი სასურველიაო. აფრიკის ომი გამოწვეულია არა ბრიტანიის მიერ იმიტომ-რომ როდესაც ტრანსვაალს ულტიმატუმი გაუგზავნეთ, ბრიტანიას უკვე უკუ-თქმული ჰქონდა თავისი მოთხოვნილებანიო. მერმისის შესახებ ვერას ვიწინასწარმეტყველებ, ხოლო დიდი რწმენა-კი მაქვს ბრიტანიის ჯარის-კაცთა, რომელთაც ბულლერი ჰსარდლობსო. ინგლისს არც ოქროს მადნების ჩაგდება ჰსურს, არც მიწა-წყალის მომატება, იმას მხოლოდ ის უნდა, რომ ყველა ტომი ერთ გვარის უფლებით იყოს აღჭურვილიო. ინგლისი არავის მისცემს ნებას ამ საქმეში ჩარევისასაო.

**ესტკორტი.** სარწმუნო წყაროდგან ამბავია მოსული, რომ კოლენზო უკვე ბურების ხელში ყოფილა.

**პარიჟი.** ბურბონის სასახლის დერეფნებში ხმა დადის, მთავრობას თვით უნდა აღძრას ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ყველა იმ დამნაშავეთ, რომელნიც დრეიფუსის საქმეში ასე თუ ისე ჩარეულნი არიან, ეპატიოთ დანაშაულიო.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ლანჩხუთის სამინისტრო სკოლის მასწავლებლებს გრიგოლ ურატაძეს, რომელმაც იკისრა უსასყიდლოდ ქართულის ენის სწავლება ჩემდამი რწმუნებულს ახლად დაარსებულს ლანჩხუთის სამრევლო საქალებო სკოლაში, და ივანე ცინცაძეს, რომელიც უფასოდ ასწავლის საეკკლესიო გალობას, აგრეთვე ბ-ნთ მოსე იაგორის ძე გვარჯალაძეს, გიორგი ზენაიშვილს და დათა სიკოს ძე ებრალიძეს, რომელთაგან პირველმა შემოსწირა იმავე სკოლას ხატი, ღირებული 3 მან., მეორემ საკლასო დაფა, ღირებული 6 მ. და მესამემ რვა აბაზი ფულად.

ლანჩხუთის საქალებო სამრევლო სკოლის გამგე ბლ. მღვდელი ეპიფანე ჩხაიძე


## განცხადებანი

ისყიდება ახალი წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ავტორთან ქ. სიღნაღში.

ОПЫТЪ

ГРУЗИНО-РУССКАГО

СЛОВАРЯ

для начальныхъ училищъ

К. БАГАЕВА

ფასი 50 კ. (15—15)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეჭეჭებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ **№ 15**, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერივნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—30)

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **ქუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—ნ.—36) ნ. წერეთელი

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნები:

თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი

ფასი 1 მან.

და

**ქართული სახალხო სიმღერები,**

ნოტებზედ გადმოღებული ი. გ. კარგარეთელის მიერ.

ფასი 50 კ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 29 Октября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე